ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 48-Ე ᲬᲚᲘ | № 194 (13886) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1967 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲖᲔᲘᲜᲙᲐᲚᲘ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲡᲘᲚᲐᲒᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ.
ᲤᲝᲢᲝ Ш. ᲩᲮᲔᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲘ

ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲓᲦᲔ, ᲗᲕᲔ, ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲗᲕᲚᲛᲐᲕᲐᲚ-ᲕᲐᲒᲝᲜᲗᲬᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲚᲘᲗᲝᲜᲘ-ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲚᲝ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲩᲐᲛᲝᲛᲨᲑᲛᲔᲚᲡ Გ. ᲚᲐᲒᲠᲐᲫᲔᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲜᲝᲡ. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲛᲝᲣᲨᲝᲐ. გ. ᲚᲐᲒᲠᲐᲫᲔ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲓᲐᲣᲚᲐᲕᲐᲓ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ. ᲕᲘᲜ ᲛᲝᲛᲒᲚᲔᲑᲚᲘ, ᲐᲮᲚ ᲓᲐᲬᲝᲖᲒᲘᲚᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲜᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲤᲐᲕᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲜᲘ ᲜᲘᲕᲗᲘ ᲓᲐᲣᲯᲐᲚᲐᲕᲐᲓ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ ᲛᲘᲐᲮᲕᲔᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲫᲦᲔᲚᲘ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲕᲠᲝ Ო. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲐᲠ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲐᲛᲬᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲚᲝ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲩᲐᲛᲝᲛᲨᲑᲛᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲛᲝᲣᲨᲝᲐ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲛᲝᲣᲨᲝᲐ. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲛᲝᲣᲨᲝᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲘᲜᲔᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲐᲖᲔ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ ᲛᲘᲐᲮᲕᲔᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲫᲦᲔᲚᲘ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲬᲕᲠᲝ Მ. ᲩᲘᲜᲯᲘᲐᲜᲘ. ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲩᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲘᲜᲔᲠᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲒᲘᲠᲩᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲛᲠᲔᲣᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ხალხთა მეგობრობის დიდი დროშით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საზოგადოებაში დამკვიდრდა ერთა და ხალხთა თანასწორობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა. შეიქმნა მათი შემდგომი აყვავებისა და დაახლოების მტკიცე საფუძვლები.

ერების მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა სავსებით შეესაბამება თვითეული ერის ინტერესებს, საბჭოთა ხალხების მთელ თანამეგობრობას. იგი სოციალური პროგრესის მძლავრი დამჩქარებელია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

ერთი კვირა უკრაინელ მეგობრებთან

მესამედი საუკუნეა მეგობრობენ ჭიათურელი და ნიკოპოლელი მაღაროელები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან, გამოცდილებას უზიარებენ, მეტი მარგანეცისათვის იბრძვიან.

ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინათ ქართველმა მაღაროელებმა უკრაინელ ძმებთან ჩაიტანეს მეგობრობის წითელი დროშა, რომელსაც ფაქიზად ინახავდნენ. ჭიათურელებმა ნიკოპოლელ თანამოსაქმეებს რამდენიმე წლის წინათ აჩუქეს დიდი მხატვრული ტილო — „ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის შეხვედრა“, რომელიც საჯელმწიფო პრემიის ლაურეატმა რ. სტურუამ შეასრულა...

ქართველ და უკრაინელ მაღაროელთა მეგობრობა სულ უფრო და უფრო მტკიცდება. მათი გულთბილი მიწერ-მოწერა, დელეგაციების გაცვლა-გამოცვლა, გულწრფელი შეხვედრა-საუბრები მაღაროელებს ეხმარება მუშაობაში.

ამას წინათ ჭიათურელ მაღაროელთა დელეგაცია უკრაინელ მეგობრებს ესტუმრა და მათთან ერთ კვირას დაჰყო.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს კპ ჭიათურის ქალაქკომის მდივანმა გ. ნოზაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— უკრაინელმა მეგობრებმა დაუვიწყარი, გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს. ჩვენ პირველად დავათვალიერეთ საწარმოები ახლადშექმნილი ორჯონიკიძის მარგანეცის ტრესტისა, რომლის მმართველია სოციალისტური შრომის გმირი გ. სერედა. შემდეგ ვესტუმრეთ ნიკოპოლის მარგანტრესტის საწარმოებს. ვისაუბრეთ მოწინავე ადამიანებთან, გავეცანით მათს შრომას, ყოფაცხოვრებას, სამამულო ტექნიკას. საზეიმო შეკრებებზე შევაჯამეთ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გავაგრძელეთ ტრადიციული შეჯიბრება.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ქართველი და უკრაინელი მაღაროელები დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ. ერთმანეთი ინახულეს და შეჯიბრების ხელშეკრულებები განაახლეს ჭიათურელმა მაღაროელებმა სოციალისტური შრომის გმირმა პ. გოგატიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შ. ჭიღლაძემ და უკრაინელმა მნგრეველებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა ი. მელნიკოვმა და ი. მოსტოვოიმ.

ჩვენს ერთკვირიან ყოფნას უკრაინელ თანამოსაქმეებთან, — თქვა დასასრულს ამხ. გ. ნოზაძემ, წითელ ზოლად გასდევდა ორი მომმე ხალხის გულწრფელი მეგობრობა, უაღრესად გულთბილი, საქმიანი ურთიერთობა. თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ სახლში. ჩვენი დელეგაციის ყოფნა უკრაინაში ფართოდ აღნიშნეს საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურმა პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ.

მასპინძლებს ჩვენ ჩავუტანეთ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემები, პროფესორ შ. ამირანაშვილის კაპიტალური ნაშრომის „ქართული მინიატურის“ რამდენიმე ეგზემპლარი, აგრეთვე რუსთაველის, ტ. შევჩენკოს, ნ. გოგოლის, ნ. ნეკრასოვის სკულპტურები და სამახსოვრო საჩუქრები.

სამაგიეროდ უკრაინელმა მეგობრებმა გვაჩუქეს დიდი ალბომი უკრაინის მარგანეცის მრეწველობაზე, ტ. შევჩენკოს თხზულებათა სრული კრებული „კობზარი“, ნაშრომი „საბჭოთა უკრაინის ისტორია. 1917-1967 წლები“ და სამახსოვრო საჩუქრები...

—ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა ქალაქმა ორჯონიკიძემ, — თქვეს დელეგაციის წევრებმა სოციალისტური შრომის გმირმა პ. გოგატიშვილმა, ახალგაზრდა ინჟინერმა შ. ნიორაძემ და თ. წერეთელმა — ეს არის ქალაქი, რომელსაც გარეუბნები არ აქვს. აქ მოსახლეობის საშუალო ასაკი 27 წელია. მოსახლეობის მატებით ქ. ორჯონიკიძეს პირველი ადგილი უჭირავს უკრაინაში.

ჩკალოვის სახელობის მაღაროს ერთ-ერთ კარიერზე ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნოვოკრამატორსკის ქარხნის მიერ გამოშვებულმა მოსიარულე ექსკავატორმა, რომლის ჩამჩა 25 კუბური მეტრის ტვირთამწეობისაა, ხოლო გადამტვირთი ისრის სიგრძე 100 მეტრი, ღია სამუშაოებზე კარგად არის მოწყობილი კავშირგაბმულობა. დისპეტჩერი რადიოპარატურით უკავშირდება ყველა ექსკავატორს. ეს სიახლე ჭიათურაშიც უნდა დავნერგოთ...

ქართველ მაღაროელთა დელეგაცია დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა. დელეგაციის წევრები ამხანაგებს მოუთხრობენ უკრაინაში გატარებულ დღეებზე, იქ ნახულსა და განცდილზე, ხალხთა დიადი მეგობრობის შესანიშნავ ნაყოფსა და ძალაზე.

ჰ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზრომაში ნაწრთობი ძმობა

აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხს შორის მეგობრობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ოცდაათიან წლებში კი ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გაფართოდა. ქართველთა პატივსაცემად აზერბაიჯანელმა ძმებმა ბელაქნის რაიონში პირველად შექმნეს კოლმეურნეობები „საბჭოთა საქართველო“ და ორჯონიკიძის სახელი უწოდეს. ნინოგორში კი კოლმეურნეობა „მეგობრობა“ შეიქმნა. ასე დაიწყო ლაგოდეხელ და ბელაქნელ მხვნელ-მთესველთა მეგობრობა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა მაზიმჩაისა და ბელაქანჩაის ფართო ველებში. ორივე რაიონის ცხოვრებაში ტრადიციად იქცა ურთიერთ ხშირი სტუმრობა. ლაგოდეხელებსა და ბელაქნელებს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ მეგობრული ურთიერთდახმარების ხასიათი მიიღო. ბელაქნიდან ლაგოდეხისაკენ მოეშურებოდნენ ხასუქით დატვირთული ქარავნები, გაზაფხულის წყალდიდობასაც არ ერიდებოდნენ. სამაგიეროდ ლაგოდეხელები დარაონებული თამბაქოს თესლს და მექანიზმებს არ აკლებდნენ აზერბაიჯანელ ძმებს.

რამდენიმე დღის წინ ლაგოდეხს კვლავ ეწვივნენ ბელაქნელი სოფლის მეურნეობის მუშაკები. აქ ჩამოვიდნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ბელაქნის რაიკომის პირველი მდივანი თ. აბდურახმანოვი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. კალაევი, კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს“ თავმჯდომარე ჯ. მუსაევი და სხვები.

დამხდურები — საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი ვ. უნგიაძე და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე აკ. რეხვიაშვილი სტუმრებს მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობისაკენ მიუძღვებიან. სოციალისტური შრომის გმირი ლ. დობრონეცკი, ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციშეჯიბრების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ღვიძლ ძმასავით ხვდება მეზობლებს.

საუბრის თემა, ცხადია, უპირველეს ყოვლისა თამბაქოა. სწორედ ამ კულტურას უნდა უმადლოდნენ მეზობლები, რომ ახლა ამ ორ რაიონში ძალიან იშვიათად ნახავთ კოლმეურნეობას, სადაც წლიური ფულადი შემოსავალი მილიონ მანეთზე ნაკლები იყოს. სწორედ თამბაქო იძლევა ორივე რაიონის შემოსავლის 70 პროცენტზე მეტს.

აბდურახმანოვი მადლობას უხდის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მაღალმოსავლიანი ჯიშის თამბაქოს თესლისათვის. ლაგოდეხის საცდელი სადგურის მიერ დარაიონებულმა ჯიშმა ბელაქნელთა მინდვრებიდან საბოლოოდ განდევნა „ოსტროლისტი“. მოსავლიანობა 25 ცენტნერით გაიზარდა, ხარისხი ერთიორად უკეთესია.

დიდხანს გასტანა საინტერესო საუბარმა. მერე კალინინელთა თამბაქოს 123 ჰექტარიანი პლანტაცია დაათვალიერეს მეზობლებმა და გეზი შრომის კოლმეურნეობისაკენ აიღეს. მრავალდარგოვანი კოლმეურნეობის წარმატებათა დასადასტურებლად ის ფაქტიც საკმარისია, რომ აქ 38 სოციალისტური შრომის გმირი და 300-ზე მეტი ორდენოსანი კოლმეურნე შრომობს. ნინოგორის, ლალიანის, აფენისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელების შემოვლის შემდეგ სტუმარ-მასპინძლები სასაუბროდ ლაგოდეხში შეიკრიბნენ.

სოციალისტური შეჯიბრების ფიური ორივე რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივისტთა შემადგენლობით აჯამებს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების შედეგებს. გამოირკვა, რომ აზერბაიჯანელ ძმებს 5.500 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 16 ცენტნერი მარცვალი უწარმოებიათ, ლაგოდეხელებს კი 9.000 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ — 17 ცენტნერი.

— მოსავალი გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტია და საიუბილეო წლის საკადრისი, — ამბობს ვ. უნგიაძე. სტუმარ-მასპინძლები ამაყოფილი არიან იმითაც, რომ კულტურული კონტაქტები — ადგილმხატვრული ბრიგადების გაცვლა რაიონებს შორის, სპორტული შეჯიბრებები და სხვა მასობრივ ხასიათს იღებს. ახლა მთავარია შეტევა თამბაქოზე!

ორი რაიონის მეგობრობა საიუბილეო გარანტია საიუბილეო წლის უფრო მოსავლისათვის მეურნეობის ყველა დარგში! — ასეთია საერთო აზრი.

ჯ. რჩეულიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

უზიარებენ გამოცდილებას

ხამ დღეს გაგრძელდა საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეების მოადგილეების, პასუხისმგებელი მდივნების მთავარი და უფროსი ბუხგალტრების სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარი.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის სფსრ, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის წარმომადგენლები.

თათბირ-სემინარზე მოხსენება „საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული, საქალაქო, რესპუბლიკური ორგანიზაციების ორგანიზაციული მუშაობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით“ გააკეთა სრულიად საკავშირო საზოგადოება- „ცოდნის გამგეობის ორგანიზაციული განყოფილების გამგემ ნ. მურაშო�ა. მოხსენება თემაზე „სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებში ფინანსური დისციპლინის მდგომარეობა და მატერიალური ბაზის შემდგომი გაძლიერების ამოცანები“ წაიკითხა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ საქმეთა მმართველმა ვ. ვანნმა.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ უზბეკეთის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე კ. ფაზილოხოჯაევი, აზერბაიჯანის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ბაქოს საქალაქო ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ა. კასუმოვი, რუსეთის სფსრ საზოგადოება „ცოდნის“ როსტოვის საოლქო ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი რ. ტუგუსი, სომხეთის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის რედაქტორი ა. სომონიანი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ივარდავა და სხვები.

მომმე რესპუბლიკების საზოგადოება „ცოდნის“ მუშაკებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, დასახეს სალექციო პროპაგანდის გაუმჯობესების გზები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით. (საქდესი).

საიუბილეო დღიური

მეგობრობის საღამო

ვანი. სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის თემატური საღამო. იგი ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა. საღამოზე შეიკრიბნენ 14 ეროვნების წარმომადგენლები. „ხალხთა მეგობრობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი“ — ასეთი მოხსენება წაიკითხა პარტიის რაიკომის პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილების გამგემ შ. გიორგაძემ.

საღამოზე ხალხთა ლენინური მეგობრობის მნიშვნელობაზე ილაპარაკეს მასწავლებელმა ტ. იაკუნიეკამ, მექანიკოსმა ა. ტრაპამ, ექიმმა ვ. ლეზინამ, საქონელმცოდნემ მ. თეთროქალაშვილმა, მასწავლებელმა ჯ. გროზამ, კომკავშირის ვანის რაიკომის მეორე მდივანმა რ. ლილუაშვილმა.

საღამოს მონაწილეებს უჩვენეს სპექტაკლი „მეგობრობა და სიყვარული“.

ა. გოგორიშვილი.

საოქტომბრო ქიმსვა

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (პარტიული კომიტეტის მდივანი ოთ. კობერიძე) მიზანდასახულად ეწევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდას. ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები და თემატური საღამოები.

უკვე გაიმართა საღამოები თემებზე: „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება საბჭოთა კავშირში“, „ოქტომბერი შრომაში იზრდება კომუნიზმის მშენებელი ადამიანი“, „რა მისცა ოქტომბერმა მშრომელებს“.

მოეწყო ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ინტერნაციონალური სოლიდარობის საღამო, აგრეთვე ქარხნის კოლექტივის შეხვედრა რეგიონალური ვეტერანებთან და სამამულო ომის მონაწილეებთან.

მიეძღვნა დიად თარიღს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სოფელ პირველი სვირის ლექტორთა ძალებით სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მშრომელებისათვის მოეწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია.

მოხსენება თემაზე — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და კაცობრიობის პროგრესი“ — წაიკითხა პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ა. გელენსიანმა.

გიორგი სეხნიაშვილი და მისი მეგრძოლი ძმადნაფიცები

თბილისში ცხოვრობს ჭაღარა ქალი, პენსიონერი მარიამ სეხნიაშვილი — და პარტიზან გიორგი სეხნიაშვილისა, რომელიც 1943 წელს ბელორუსელებმა შეიპყრეს და თავის ამხანაგებთან ერთად დახვრიტეს. ზოგნი, ვინც გიორგის ახლოს იცნობდა და იმ ჯოჯოხეთს გადაურჩა, ახლაც ცოცხალი არიან. მათ შორის არის ეფროსინე სემენჩუკი. იგი ტაგანროგში ცხოვრობს და მეგობრულ წერილებს უგზავნის მარიამ სეხნიაშვილს.

ამასწინათ მარიამს მოუვიდა ეფროსინეს ბარათი და საბჭოთა კავშირის გმირის **გენრიხ გოფმანის** წიგნი **„ტაგანროგის გმირები“**.

ამ წიგნში მოთხრობილია გმირ ადამიანებზე, საბჭოთა პატრიოტებზე, რომლებიც მტრის ზურგში პარტიზანულ რაზმებში იბრძოდნენ და უთანასწორო ბრძოლებში დაეცნენ. მათ შორის იყო ქართველი **გიორგი სეხნიაშვილი.** მოგვყავს ამ წიგნიდან ის ადგილები, სადაც ლაპარაკია გიორგი სეხნიაშვილზე.

გვერდი 141. მესამე საავადმყოფოს ექიმი მარტიროს სარმაკეშიანი ტროფიმოვების ოჯახის ძველი მეგობარი იყო. მას ნონა პატარაობიდანვე ახსოვდა. და ახლა ალერსიანად ხვდებოდა საავადმყოფოში. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ თვალთვალიც დაუწყო — სად დადიოდა, რას აკეთებდა, რა აინტერესებდა.

სამხედრო ტყვეთა ლაზარეთში უკვე მეელი თვე მოქმედებდა იატაკქვეშა ჯგუფი, რომელიც მესამე საავადმყოფოში მომუშავე მედიკებისაგან შედგებოდა. მას ხელმძღვანელობდა აფთიაქარი გიორგი სეხნიაშვილი. ჯგუფი შეიქმნა ვასილ აფონოვის დავალებით... სარმაკეშიანმა გადაწყვიტა ნონაც ჩაება ამ ჯგუფში.

გვერდი 143. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლობამ დაადასტურა მშვიდობიანად ჩამოსვლა სამხედრო ტყვეებისა, რომელებიც მესამე საავადმყოფოდან გაიქცნენ. წარმატებამ ფრთები შეასხა იატაკქვეშელებს. ცენტრის ხელმძღვანელებმა სეხნიაშვილსა და სარმაკეშიანს მითითება მისცეს გასაქცევად მოემზადებინათ გამოჯანმრთელებულთა ახალი ჯგუფი, ხოლო კონსტანტინე აფონოვმა დავალება მიიღო მებადურებთან ეშოვნა კიდევ ერთი ბარკასი ან ნავი.

გვერდი 156. კარს იქით მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. ოთახში შემოვიდა მაღალი, ქოჩრიანი კაცი. შავი ულვაშები ვიწროდ ჰქონდა შეკრეჭილი.

— გამარჯობა, სეხნიაშვილო, — გულღიად უთხრა ვასილმა და სკამიდან წამოდგა.

— რა არის ახალი? — იკითხა მოროზოვმა და მანაც ჩამოართვა ხელი.

— რაღას მეკითხებით? — რაკი მოგვიდიო, თვითონვე გიამბობთ.

სეხნიაშვილმა წვიმით გაღენთილი ხალათის საყელო შეიხსნა, სველი ხუჭუჭი თმა დაივარცხნა, სკამზე დაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— ჩვენს საავადმყოფოში ყველაფერი მიწყნარდა, — თქვა მან. — აღარავის იძახებენ. თითქმის არც ჭქონია ადგილი გაქცევას, მაგრამ ასე მოქმედება აღარ შეიძლება. რა საჭიროა ამაო რისკი? მე სამხედრო ტყვეთა ბანაკზე მიმამაგრეს. საავადმყოფოში აფთიაქარი ვარ, იქ კი ფერშალი ვიქნები. ასე თქვა უფროსმა. და აი ჩვენც ახალი ვარიანტი მოვიფიქრეთ. მე ტყვე მეთაურებს ბანაკიდან საავადმყოფოში დავაწყვინ ხოლმე, ხოლო სარმაკეშიანი და კოზუბკო მათ 3-4 კვირით ჰალატაში გააჩერებენ, შემდეგ ხელს მოაწერენ დასკვნას მათი გარდაცვალების შესახებ. ამ დოკუმენტს მე ბანაკის კომენდანტს მივუტან ანგარიშის ჩასაბარებლად, ხოლო ადამიანებს გაღმა ვუკრავთ თავს. აი როგორი გეგმა შევიმუშავეთ.

— კარგად მოგიფიქრებიათ, — დაეთანხმა მოროზოვი.

— ყოჩაღ, იმოქმედეთ! — ვასილმა ხელი მუხლზე დირტყა და შემდეგ იკითხა: სარმაკეშიანი თუ შედის სამედიცინო კომისიაში, რომელიც გერმანიისათვის მუშახელს აგროვებს?

— რატომ მარტო სარმაკეშიანი? იქ კოზუბკოც მუშაობს...

გვერდი 205. ოთახში სწრაფად შემოვიდნენ გიორგი სეხნიაშვილი, სერგეი ვაისი და მაქსიმ პლოტნიკოვი. ვაისმა, მისალმების შემდეგ აფონოს ბარათი გაუწოდა. ვასილმა წაიკითხა და კმაყოფილებით გაიღიმა.

ტაგანროგის გმირები

— ყოჩაღ, ბიჭებო! აი, ნიკოლოზ. წაიკითხე, — მან ბარათი მოროზოვს გადასცა.

ქაღალდის ნაგლეჯზე სწორი, მოწაფური ხელით ეწერა: „ვესენოვსკაია ხიდქვეშ ბერმანელებმა ამონალი ჩაადწყეს. სადგურ ტაგანროგის რეზერვუარის ქვეშაც ამონალია. იქ ჩვენი ხალხი მორიგეობს. აფეთქებას არ დაგვანებებთ. გაყინული ბუნით სვმინაალეისაკენ წავიდა პროვოკატორი. შეიარაღებულია. აცვია შავი პალტო ცხვრის ტყავის სახელოთი, კუბანკა, ნაცრისფერი თექის ჩექმები. მას ორი ჩვენიანი დაედევნა. მის ადგილამდე ჩასვლას არ დაუშვებთ“.

მოროზოვს გაახსენდა ნიკოლოზ კუზნეცოვის რვეული, მისი სასკოლო თხზულება და იცნო მისი ხელწერა.

— ესენი არ გვიმტყუნებენ, — უთხრა მან ვასილს და ბარათი დაუბრუნა.

— ჩვენ როგორღა მოვიქცეთ, ვასილ? სამხედრო ტყვეები ბერმანელებს ბანაკებიდან მიაყავთ. ზღვის ნაპირით დასავლეთისაკენ მიერეკებიან. ხოლო იმათ, ვისაც სიარული არ შეუძლია, ბარაკებში ხვრეტენ, — თქვა ზეკ მეც კი არაფერს ვეკითხები, — გააჩუმა მაქსიმი ვასილმა.

— ცნობები რომ ზუსტია, ამაზე პასუხს ვაგებ. გიორგი სეხნიაშვილი მოლიციის საპატიმრო განყოფილებაში ზის. ეს ყოფილ პიონერთა სახლის სარდაფშია. მოროზოვიც იქ ჰყავდათ... კოპილევი კი არა... როგორც ჩანს, გესტაპოში იგი ზონდერკომანდაშია. შემიძლია ვუპატაკო შტაბის წევრებს, რომ მე დავაწესე მეთვალყურეობა პოლიციასა და საველე ჟანდარმერიაზე. იქ ორჯერ იყო რანევესკაია, აი ის, უფროს ლეიტენანტ მუსიკოვთან რომ ცხოვრობს. მუსიკოვი ჩვენი ორგანიზაციის წევრია, რანევესკაია მუშაობდა სამხედრო ტყვეთა ჰოსპიტალში და იცნობს პერეკეევსა და სეხნიაშვილს. ექიმი სარმაკეშიანი ამბობს, რომ სეხნიაშვილი მას იმათ რიცხვში ასაყენებდა, რომლებსაც ფურცლებს აძლევდაო.

გვერდი 291... ვასილი ჩაფიქრდა. სეხნიაშვილზე მე ვაგებ პასუხს — არ გაგვცეს...

— არა, ის არ გვიმტყუნებს, —გამოეხმაურა ვაისი. მაგრამ აი კოპილოვის იმედი ძნელია ვიქნეთიოთ. ნაკლებად ვიცნობთ ამ ჭაბუკს.

გვერდი 315. ვასილ აფონოვმა თავისი დაპატიმრების პირველსავე დღეს საკანში გაიცნო ერთი რუმინელი ჯარისკაცი, რომელიც ფრონტიდან იყო გამოქცეული.

პეტრე პონტოვიჩი, — ასე ერქვა რუმინელს, — სხვა პატიმრებისაგან ტანსაცმლით გამოირჩეოდა. იგი ჯერ კიდევ ჯარისკაცის ფორმაში იყო, მაგრამ უქამოდ.

გიორგი სეხნიაშვილისაგან, რომელიც ამავე საკანში იყო, ვასილმა შეიტყო, რომ პონტოვიჩს დაბერტა მოელოდა. „რუმინელია, მაგრამ არც მას უნდა ჰიტლერისათვის იომოს“, — ფიქრობდა ვასილი, როდესაც კარი გაიღო და მეთვალყურემ ზამოყვირა:

— აფონოვ! გამოდი დაკითხვაზე.

ვასილი ჰოლიციელის თანხლებით მიაბიჯებდა ყრუ დერეფანში და უნდოდა გამოეცნო, რა ბრალდებებს წაუყენებდნენ. ნუთუ გერმანელებმა გაიგეს იატაკქვეშეთის არსებობა, თუ ეს შემთხვევითი დაპატიმრებაა სულ სხვა მიზეზით? ვინ არის კიდევ დაპატიმრებული?

გიორგი სეხნიაშვილმა მოასწრო ეამბნა მისთვის, რომ უკვე რამდენჯერმე იყო გამომძიებელთან და პოლიციას მარტო ის აინტერესებს, თუ ვინ მისცა მას ფურცელი. აფთიაქარი ფიცულობდა, რომ შემთხვევით იპოვნა იგი ჰოსპიტალში და არ იცის, საიდან გაჩნდა იქ.

— მცემეს, — თქვა გიორგი სეხნიაშვილმა, — მაგრამ მოვითმინე, არავინ დამისახელებია, — გაასხენდა ვასილს მისი სიტყვები. ჰო, ერთადერთი სწორი გზაა არ ვუპასუხო არავითარ შეკითხვაზე.

გვერდი 318. რუსული დამხმარე პოლიციის სარდაფის საკნებში ყავდათ დაპატიმრებულნი... პეტროვმა თავისი შეფის წინ დაალაგა რუნინელი დეზერტირის პონტოვიჩის ჩვენებანი. სტოიანოვმა ორჯერ გადაიკითხა დაკითხვის ოქმი.

— „15 მაისს № 5 საკანში, — აცხადებდა პონტოვიჩი, — მომიახლოვდა პატიმარი ვასილი აფონოვი და მითხრა, რომ ჩვიდმეტში, „პასაჟის“ გატანის დროს, დილის 5 საათზე გაქცევას აპირებს პლოტნიკოვთან, შუბინთან, აკიმენკოსთან, სეხნიაშვილთან, პოდოლიაკინთან ერთად. და დამიწყო დარწმუნება მეც მათ შევერთებოდი. იმისათვის, რომ ქალაქში არ აღმოვჩენილიყო, მან მომცა ბარათი შემდეგი მისამართით: ნიკოლაევსკაია, 94-ალა, სადაც მე უნდა დავმალულიყავი“.

გვერდი 337. კარს უკან გასაღებების ჩხრიალი გაისმა.

— ჩემს წასაყვანად არიან, — ამოიგმინა ვასილმ.

მაგრამ დასაკითხავად დარაზნინ წაიყვანეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ კარი კვლავ გაიღო და საკანში მაქსიმ პლოტნიკოვი შემოაგდეს, მას შემოჰყვნენ სეხნიაშვილი, აფონოვი, პოდოლიაკინი, პერეკეევი და კიდევ რამდენიმე იატაკქვეშელი. მათ შორის იყო ნიკოლოზ კუზნეცოვიც. მიმოიხედეს, ამხანაგები შენიშნეს და მათი კუთხისაკენ გაეშურნენ. ახლა ამ უზარმაზარ საკანში ასამდე კაცი იყო.

გვერდი 367. ავტორისაგან: ამ მოთხრობაში არაფერია გამოგონილი. დაცულია გმირებისა და მათი მკვლელების ნამდვილი სახელები და გვარები.

ტაგანროგის იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრები წლინახევრის განმავლობაში ეწეოდნენ გმირულ ბრძოლას ოკუპანტებთან თავიანთ შშობლიური ქალაქისათვის.

მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გადის. გმირების სახელები დაერქვა ტაგანროგის ქუჩებს. მათს ხსოვნას პატივს სცემენ არა მარტო ნათესავები, მახლობლები და მეგობრები. ისინი მთელ ხალხს ახსოვს.

მათს მაგალითზე იზრდება ახალგაზრდა თაობა. ტაგანროგის მცხოვრებნი ყოველწლიურად იკრიბებიან „პეტროშჩევის“ საძმაო საფლავთან, სადაც ფაშისტების მიერ დახვრეტილი გმირი იატაკქვეშელები განისვენებენ. დღეს იქ აღმართულია მონუმენტი, რომელზეც ოქროს ასოებით ამოკვეთილია დღეუკუნ გმირთა სახელები.

შეჩერდით! ყურადღებით დაკვირდით ამ გვარებს, ყოველი მათგანის მინდა ხომ სიცოცხლე დგას, სიცოცხლე შეწირული იმისათვის, რომ ჩვენ და თქვენ ბედნიერად ვცხოვრობდეთ დედამიწაზე.

• • •

სურათებზე: ზემოთ — გიორგი სეხნიაშვილი. გადადებულია 1941 წელს. ყდა გენრიხ გოფმანის წიგნისა „ტაგანროგის გმირები“.

„საქართველო“ მასპინძლობდა...

ჩვენი ინტერვიუ

ამ ორი წლის წინათ, 1965 წლის ზაფხულში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით მოაწყეს მოკავშირე რესპუბლიკების რესტორნების, სასადილოების, კაფეებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა დათვალიერება-კონკურსი. ჩვენი რესპუბლიკიდან ამ კონკურსში მონაწილეობდა რესტორან „საქართველოს“ კოლექტივი, რომელიც კონკურსში გამარჯვებული გამოვიდა — პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს დიდი მედალიც დაიმსახურა. ამ კოლექტივის 10 მუშაკმა მიიღო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით წელს ასეთი დათვალიერება-კონკურსი მეორედ მოეწყო. რესტორან „საქართველოს“ კოლექტივმა კონკურსში კვლავ გაიმარჯვა.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი **ბ. ბახტურიძე** ესტუმრა თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს უფროსს **ი. ბოკერიას** და რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

კითხვა: რით განსხვავდებოდა რესტორნებისა და კაფეების ახლანდელი დათვალიერება-კონკურსი 1965 წელს მოწყობილი კონკურსისაგან?

პასუხი: არსებითი განსხვავება არ ყოფილა. კონკურსის მიზანი ერთი იყო მაშინაც და ახლაც: გვეჩვენებინა ერთმანეთისათვის საქმლის მომზადებისა და მომხმარებლის გამასპინძლების ჩვენი, ქართული ხელოვნება. თუ მაინც განსხვავებაზე ვილაპარაკებთ, უნდა ვთქვათ, რომ წელს დათვალიერება-კონკურსი გაცილებით უკეთ იყო ორგანიზებული. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დამტკიცებული პროგრამით მზადდება კონკურსისათვის, ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყეს. ჩვენმა საუკეთესო მზარეულებმა შეარჩიეს და შეიმუშავეს რამდენიმე ახალი კერძი, შევუკვეთეთ სპეციალური ჭურჭელი, ტახსაცმელი. მოსკოვში, გამოფენის ტერიტორიაზე ჩვენთვის გამოყოფილი სამწვადის — „იუენაის“ შენობა ძველ ქართულ სტილზე გაფორმა მხატვარმა რ. ლიონანიშვილმა.

კითხვა: განსაკუთრებით რით მოაწონეს თავი ჩვენმა საზოგადოებრივი კვების მუშაკებმა მოსკოველებს?

პასუხი: უწინარეს ყოვლისა გემრიელი ეროვნული კერძებით. ჩვენი მენიუ მეტად მრავალფეროვანი იყო. მასში შედიოდა 60-ზე მეტი დასახელების კერძი, მათ შორის საცივი, წიწილას ტაბაკა, ღომი სულგუნით, ხარჩო ნიგვზით, ჩიხოხბილი. ხაჭაპური და სხვ. გვქონდა აგრეთვე ეგრეთწოდებული საფირმო კერძები: მწვადი, „აფხაზური“ სუკი, „ირომატული“ და სხვ. მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო მენიუ და საშუალება ჰქონოდა შეკვეთის მიცემამდე წინასწარ გაესინჯა მისათვის უცხო ქართული კერძი, შემოვიღეთ ე. წ. სადეგუსტაციო მენიუ.

მომხმარებელს არა მარტო ჩვენი კერძები მოსწონდა, იგი კმაყოფილი იყო ჩვენი რესტორნის მომსახურების კულტურითაც. ამას ნათლად მეტყველებს შთაბეჭდილებათა სამი დიდი წიგნი, რომლებიც საესეა როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკების აღამიანების, ისე უცხოთის წარმომადგენელთა თბილი, კმაყოფილებითა და მოწონებით აღსავსე ჩანაწერებით. დიდი მოწ

ოქტომბერი და ჩვენი ვლანეტა

ალბათ შეგიმჩნევიათ: ვისაც კი შემოსვეგა ჰკონია სადმე ემოგზაურა, დაბრუნებისთანავე ხელს ჰკიდებს კალამს, რომ ასწეროს თავისი შთაბეჭდილებანი. ეს გასაგებია: ჯერ ერთი, ადამიანი აღსავსეა ამ შთაბეჭდილებებით, მეორე, მოგზაურს იმედი აქვს, რომ ასე ხელის ერთი მოსმით გადარჩება ნათესავთა და ნაცნობთა შეკითხვებს. ბოლოს, გულის სიღრმეში გაბეჭდულ ანალოგიებს აკეთებს სხვა — განთქმულ მოგზაურებთან, მაგალითად, განზეკალას და ზიგმუნდთან, რომლებმაც ჯერ მხოლოდ ასწერეს თავიანთი მოგზაურობა, ახლა კი ცნობილი მწერლები არიან.

ასეა თუ ისე, თითქმის ყველა საგზაო შენიშვნა იწყება იმ მომენტიდან, როცა ავტორი მიდის ეაგზალზე ან აეროდრომზე, სადაც იგი ხალმიან ადამიანებსა და, ამინდის მიუხედავად, გულთბილ მოპყრობას ხვდება. ტრადიციას რომ არ გადავუხვიო, მეც ვიტყვი, რომ მოსკოვიდან ბერლინამდე ორსაათნახევრის ფრენა ჩვენთვის, საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფისათვის, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც და რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის მიწვევით ჩავიდა, დამთავრდა შიუ-ნეფელდის აეროდრომზე. მაგრამ უკვე ტრადიციისათვის კი არა, არამედ ჭეშმარიტებისათვის ხარკის გადახდა იქნებოდა მოყოლა იმაზე, თუ როგორი იყო ჩვენი პირველი შეხვედრები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიწაწყალზე. ნამდვილი მეგობრების წრეში მოვხვედით, და კეთილი განწყობილების, სიმპათიის, მეუობრული გრძნობიანის ეს სულისკვეთება თან გვახლდა. იმ ათიოე დღის განმავლობაში, რაც აქ სტუმრად ვიყავით.

მაშ ასე, პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ უცნობ მიწაზე. თუ არ ჩავთვლით აეროდრომს, ეს ნაბიჯები გადავდგით ბერლინის ერთ-ერთ ყველაზე განთქმულ მაგისტრალზე, რომელსაც ეწოდება „უნტერ-დენ-ლინდენი“ — „ქუჩა ცაცხვებქვეშ“.

ეს ქუჩა — თავადის ყოფილი სანადირო გზა, ბერლინელთა საყვარელი გასასეირნებელი ადგილი გახდა და მის გაყოლებით თანდათან აღიმართა დიდებული შენობები — არსენალი, კონსერვატორია, გერმანული სახელმწიფო ოპერა, უნივერსიტეტი... რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს თითქმის მთლიანად დაინგრა. მათი ნაწილი წინანდელი სახით არის აღდგენილი, და ჩვენ, ისევე როგორც ათასობით სხვა ტურისტი, ვტაბეზოდით ოპერის, კუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის, წმიდა იადვიგას ტაძრის და, ბოლოს, ბრანდენბურგის განთქმული კარის მზერით. ამ კარით მთავრდება „უნტერ-დენ-ლინდენი“ და იგი ბერლინის ემბლემად ითვლება.

მაგრამ ბერლინელები არა მარტო აღადგენენ ქალაქის ისტორიულ და კულტურულ ძეგლებსა და საწარმოებს (აქაც მაინც ჩანს ნაგრილობევები — ომის შედეგი), ისინი მთლად თანამედროვე არქიტექტურის მრავალ ლამაზ სახლს აშენებენ. განსაკუთრებით საინტერესო სანახაგია ასეთი შენობები „უნტერ-დენ-ლინდენის“ ტიპის ქუჩებზე, სადაც ახალი ძველის გვერდით შენდება. და უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მასალით — მინითა და ბეტონით ნაგები ეს თანამედროვე შენობები, როგორიც „ვირატექსის“ (საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია. „ტრიკოტაჟი და დეკორატიული ქსოვილები“) ან საბალხო განათლების სამინისტროს შენობებია, შესანიშნავად ერწყმის ბაროკოსა და კლასიცისზმის სტილით ნაგებ სახლებს.

რაკი სიტყვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის არქიტექტურულ სახეზე ჩამოვარდა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქალაქის ის ნაწილი, ალექსანდრეპლაციდან რომ იწყება (ბერლინელები მას მოკლედ „ალექს“ უწოდებენ), რომელიც არაფრით არ გგაგონებს წარსულს. აქ ვერცერთ ისტორიულ ძეგლს ვერ შეხვდებით. მაღალ საცხოვრებელ სახლებს, ახალ რესტორანებს, კაფეებს, კინოთეატრებს, სასტუმროებს, ბაღაზიებს მხოლოდ ახალი, თანამედროვე ქალაქის ნიშნები აქვთ. ოდესღაც კი ხომ აქ ბერლინის ყველაზე ღარიბი ნაწილი იყო: ყაზარმის მსგავს სახლებში და ვიწრო უჯანა ეზოებში წვრილი ხელოსნები, ლუმპენპროლეტარები ცხოვრობდნენ. დღეს ტურისტებს, და ახალგაზრდა ბერლინელებსაც, ამ რაიონის ყოფილი ცხოვრება შეუძლიათ წარმოიდგინონ მხოლოდ ცხობილი გერმანელი მხატვრის, ბერლინის მკვიდრ ჰაინრიხ �eეს შემოქმედების მიხედვით, რომელიც თავის ნახატებსა და აკვარელებში მწარე იუმორით ასახავდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ყოფაცხოვრებას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მოგზაურობას ბერლინის ქუჩებში. რიგა შთაბეჭდილებებით დამძიმებულნი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიწაზე ყოფნის ამ პირველ საათებში მოგვეძალა, საბჭოთა საელჩოს შეობაში აღმოჩენილნი, ერთი წუთით იგი კვლავ ჩვენი საშობლოს მიწად გვეჩვენა. თუმცაღა ეს შეგრძნება რამდენადმე კიდევაც შეესაბამებოდა სინამდვილეს: როცა ეკატერინეს დროს ამავე ადგილზე შენდებოდა რუსეთის საელჩოს შენობა, ფიდოფალმა ბრძანა ჩაეტანათ იქ სამი ათასი საზიდარი რუსული მიწა, რაც აქ საძირკვლის ჩაყრისას დაყარეს. მართალია, ომის დროს შენობა დაინგრა, მაგრამ მიწა ხომ დარჩა, ისე რომ ახალი შენობაც რუსულ მიწაზე დგას...

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საწარმოები, რომლებიც დავათვალიერეთ, იყო ბერლინის სატელევიზიო ელექტრონიკის ქარხანა, ერთი იმ ქარხანათაგანი, რომელთა მეოხებითაც დედაქალაქის ელექტრომიწვეველთა დღეს პირველ ადგილზეა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს უზარმაზარი საწარმოო, რომელშიც ხუთი ათასზე მეტი კაცი მუშაობს. იგი ამზადებს სატელევიზიო ეკრანები და სხვადასხვა ზომის მილაკებს სხვადასხვა მარკის ტელევიზორებისათვის და ერთ-ერთი ყველაზე მექანიზებული და ავტომატიზებული საწარმოა.

როგორც ყოველთვის არის ხოლმე ასეთ შემთხვევებში, მიემართოთ ციფრებს: ქარხნის მთელი კონვეიერული სისტემა სიგრძეზე რომ გაიჭიმოს, 100 კილომეტრზე მეტი სიგრძის ხაზი გამოვა მუშების უმრავლესობა აქ ახალგაზრდობაა, როგორც არა მარტო კარგად, არამედ, შეიძლება ითქვას, ენთუზიაზმით მუშაობს. ქარხნის საამქროში 25-მდე დეტალის აწყობა გამადიდებელი შუშის დახმარებით ხდება, და ამ ფილიგრანულ სამუშაოს ასრულებენ ქალაშვილები და ჭაბუკები, რომლებსაც ისეთი ჭკთქათა თეთრი სამოსი აცვიათ, რომ გგონია, დიდ სანიმუშო საავადმყოფოში ვართ.

ბერლინის ქუჩების შესახებ რომ ვლაპარაკობდი, დამავიწყდა მეთქვა, რომ აქ ჩამოსვლის დღიდანვე თითქოს სადღესასწაულო ატმოსფეროში აღმოვჩნდით. და ეს უბრალოდ სადღესასწაულო განწყობილების შეგრძნება როდი იყო, უნებლიეთ რომ გეუფლება, როცა მიდიხარ დიდ უცნობ ქალაქში, რომელიც თავისი. იქნებ მთლად სადაი ცხოვრებით ცხოვრობს და სადღესასწაულო იერს მხოლოდ ქუჩის ხმაური და ფუსფუსი, ხალხის სიმრავლე და ფაციფუცი ანძლევს. არა, იგრძნობოდა, რომ ქალაქი რადაც დიდი ამბისათვის ემზადებოდა. ეს იყო გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების 20 წლისთავის დღესასწაული, რომელიც ჩვენი გამგზავრების მეზეზი იყო.

29 მაისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის საოპერო თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხების ურთიერთობის ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. როცა ფარდა ნელა აიხადა, დარბაზში მყოფნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოჩენას ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით. სხდომას საზოგადოების ცენტრალური გამგეობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მისმა თავმჯდომარემ იოჰანეს დიტრიხმა გააკეთა მოკლე და მეტად გულთბილი მოხსენება. მან ილაპარაკა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის უდიდეს მეგობრობაზე, უანგარო დახმარებაზე, რასაც საბჭოთა კავშირი გერმანიის ახალგაზრდა რესპუბლიკას უწევს. სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე სსრ კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოების თავმჯდომარემ კონსტანტინ ფედინმა; მან გერმანულ ენაზე ილაპარაკა. ჩვენმა დელეგაციამ იოჰანეს დიტრიხს აჩუქა სსრ კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოების დროშა.

საზეიმო ნაწილის შემდეგ დაიწყო კონცერტი. მასში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა, თვითმოქმედების მონაწილეებმა, რომლებმაც ყველანი გააოცეს თავიანთი ოსტატობით. ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვების—დემოკრატიული რესპუბლიკის ყველაზე პატარა მოქალაქეების გამოსვლამ. და არა მარტო იმიტომ, რომ ბავშვები ყველა ქვეყანასა და ყველა ქალაქში იწვევენ სიხარულისა და სიყვარულის გრძნობას, არა მარტო იმიტომ, რომ პატარა ბერლინელთა გამოსვლები ნიჭიერი და საინტერესო იყო; არამედ იმიტომაც, რომ მათში ჩვენ გასსაკუთრებით ნათლად ღავინახეთ გერმანიის მომავალი. უფრო ვგიან გვქონდა კიდევ ერთი შეხვედრა, ისიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პატარა მოქალაქესთან, რამაც უხილავი ძაფი გაგვაბმევინა ჩვენი ნორჩი მეგობრებიდან მათი მომავლისაკენ, რათ ქვეყნის მომავლისაკენ. მაგრამ ამაზე შემდეგ.

ამ საღღესასწაულო საღამოს დასასრულს ჩვენი დელეგაციის წევრები ჟურნალის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიწვია კოქტეილზე. იქ იყვნენ გერმანელი ჟურნალისტები და გერმანიის დემოკრატიულ რეაუბლიკაში აკრედიტებული ჟურნალისტები. არაჩვეულებრივად გულთბილი მეგობრული ვითარება ხელს უწყობდა იმას, რომ შეხვედრები და ნაცნობობა მალე იქცეოდა მეგობრობად. ჩვენ ერომანეთს ვუცვლიდით მისამართებს, ვუთანხმდებოდით ურთიერთ თანამშრომლობაზე. მაგალითად, ჩვენ, საქართველოს ჟურნალისტთა წარმომადგენლები, ბერლინელ გაზეთის მუშაკებს შეეუთანხმდით ერთობლივ გამოსვლებზე პრესაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დეკადის დროს, რომელიც ნავარაუდევია მოქმეყოს თბილისში მომდინარე წლის ნოემბერში.

კვლევ შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალისტებთან — ხოლო ეს შეხვედრები ცოტა როდი იყო ბერლინშიც, ლაიპციგშიც, დრეზდენშიც და სხვა ქალაქებშიც, ასეთივე მეგობრული და საინტერესო იყო.

განსაკუთრებით დამახსოვდა დედაქალაქის ერთი ჟურნალისტის ნაამბობი. მან გვიამბასუნა იმ კითხვაზე, თუ რას ამბობენ საზღვარგარეთელი, კერძოდ, ამერიკელი სტუმრები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებს რომ გაეცნობიან. ხოლო რაც მთავარია, საკუთარი თვალით რომ ნახავენ ამ მიღწევებს. თავის მხრივ ეს მისთვის უამბნია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილ მეცნიერს ერვინუსი პრეგმიის ლაურეატს იურგენ კუჩინსკის, რომელიც ეკონომიკის ისტორიაზე მუშაობს.

აი ეს ამბავი.

ერთი ამერიკელი ბერლინს ეწვია. იგი ჩამოვიდა დასავლეთ ბერლინიდან, რომელსაც იხსენიებდა როგორც ამერიკის პირველხარისხოვან სოფელს. ბერლინი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი, მისი სიტყვით, პირველი სოციალისტური ტერიტორია იყო, რომლის ნახვაც მას მოუდა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის და არა სიმპათიის გამო, ვინაიდან სოციალიზმში ვერ ერკვევა და, როგორც მან განაცხადა, „არც მიაჩნია ეს საჭიროდ, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალიზმი არ არის“. თუმცაღა სოციალიზმის „დასთვალიერებლად“ მის განკარგულებაში მხოლოდ ერთი დილა იყო: ნაშუადღევს ამერიკელი ლონდონში უნდა გაფრენილიყო საქმეებზე.

„ხომ არ შეიძლება ვნახო აქ სოციალისტური რაიმე, რა-

◆

ნანახი და განცდილი

ღრეა ფესვები

პავლე ასლანიდი,

გაზეთ „ვეჩერნი ბგილისის“ რედაქტორი.

◆

ზეც შემეძლება შემდეგ ამერიკაში მოვყვე მეგობართა წრეში? — იკითხა მან. მისი თანამოსაუბრე ჯერ გაოცდა: რა ურჩიოს? რომელიმე საწარმოს დათვალიერება ამერიკელს აფიქრებინებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ტექნიკა ასეთიეა, თუ უკეთესი არა. პერგამის მუზეუმის ან ზოოლოგიური ბაღის დათვალიერება აღბათ შთაბეჭდილებას მოახდენს, მაგრამ საეჭვოა დაანახვოს მას, თუ რა არის სოციალიზმის არსი. როგორ აჩვენოს რამდენიმე საათში ამერიკელს, თუ რა არის სოციალიზმი? და აი რა გადაწყვეტილებამდე მივიდა: ამერიკელს ურჩია ორი საათის განმავლობაში ეყოფა ბერლინში ტაქსით. ამასთან ყოველ ნახევარ საათში გაპოეცვალა მანქანა და ყველა შოფრისათვის ეკითხა, რას აკეთებენ ძალი შვილები.

ამერიკელი გაოცდა, მაგრამ იმის წინააღმდეგ არ წასულა, რომ ტაქსის გაჩერებასთან მიეყვანათ.

ორი საათის ნაცვლად იგი მთელ სამ საათს აღარ გამოჩენილა. ამ ხნის განმავლობაში შვიდი მანქანა გამოეცვალა და, რომ დაბრუნდა, თან ჰქონდა ფურცელი ქაღალდი, რომელზეც ეწერა:

„სოციალიზმი“ 7 ტაქსი და 7 შოფერი; მათგან 6 კაცი ოჯახიანია 13 შვილი ყავთ, 1 უცოლოა (დაუსწრებელ ინსტიტუტში მექანიკას სწავლობს). 13 შვილი: მათგან ორი ინსტიტუტში სრულ სპეციალურ სკოლაში, ოთხი მეცადინეობს უნივერსიტეტში ან უკვე დამთავრა. იგი, მათგან ერთი ექიმია, ორი მომავალი ინჟინერი და ერთი ჟურნალისტი. ოთხი ტექნიკუმებში სწავლობს, ორი კვალიფიციური მუშაკ, რომლებმაც სპეციალური მომზადება მიიღეს. ერთი მშენებელი მუშაა, სპეციალური მომზადება არა აქვს“.

„მანინ საოცარი რამეა ეს სოციალიზმი“, — შენიშნა ამერიკელმა იმ დროს, როცა მისი თანამოსაუბრე ამ ჩანაწერებს ათვალიერებდა. ამერიკელს დაახლოებით ასეთი წარმოდგენა ჰქონდა სოციალიზმზე: მთლიანი დაგეგმვა, რევოლუციური ლოზუნგების სიუხვე, მრავალრიცხოვანი პოლიცია, დაურსულელი პრობაგანდა. მაგრამ აი თვითონ იმგზავრა ქალაქში და ბევრი პოლიციელი რატომღაც ვერ შეამჩნია. არც ერთი შოფერი არ მღერდა „ინტერნაციონალს“ და არ ეწეოდა პროპაგანდას. ისინი ხალისით ესაუბრებოდნენ. მან თვითონაც უამბო თავის ბედზეზე, იმაზე, რომ მათ უხდებოდათ ემუშავნათ არადადეგების დროს, ზოგჯერ სწავლის დროსაც, რომ საშუალება ჰქონოდათ ესწავლათ. „სოციალიზმის შესწავლა ტაქსის მანქანაში“—იკითხოდა ამერიკელი, თავის თანამოსაუბრეს რომ ეშმეგილმბებოდა.

ამერიკელს ნაკლებს არ ვიცინოდით ამ ნაამბობის შემდეგ ჩვენც, მსმენელები, ოღონდ ჩვენი სიცილი იმ ადამიანთა სიცილი იყო, რომლებიც გრძნობენ და ესმით თავიანთი უპირატესობა იმათზე, ვინც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოდის ანტისაბჭოთა პროპაგანდით გაღელვნთილი. ქუჩებში, მაღაზიებში, სასტუმროში პირველივე მიხვედრების შემდეგ ისინი რწმუნდებოდნენ, თუ რაოდენ ცრუ ცნობებს ათავსებს დასავლეთ გერმანიის პრესა, საიდანაც მასალებს იღებს სხვა კაპიტალიტური ქვეყნების ბევრი გაზეთიც.

ამ მხრივ საინტერესოა, რას ამბობს ბელგიელი რეჟისორი ფრანს ბუენი, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა, რომ გადაეღო დოკუმენტური ფილმი „ბოლო სადგურია აღმოსავლეთი გერმანია“.

„ურიცხვმა დისკუსიებმა და საუბრებმა ხელოვნების, პროფესიონალური მოძრაობის მოღვაწეებთან“, „პირველ შემხვედრებთან“ (რესტორნებსა და თვითმმოსახურების სასადილოებში), უცხოელ სტუდენტებთან და ბევრ სხვა ადამიანთან წარმოდგენა მომცა საქმის ნამდვილ ვითარებაზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჩემს თვალწინ წარმოსდგა იმის თითქმის მთლიანად საწინააღმდეგო სურათი, რასაც დასავლეთის პრესაში გერმანიის ამ ნაწილის შესახებ წერენ. ჩემი ჩანაფიქრი გადამეღო ფილმი ბერლინზე (მთელ ბერლინზე) შეიცვალა. მოვინდომე შემექმნა სიმართლით აღსავსე ფილმი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. იმ მიზნით, რომ შემესწავლა ქვეყანა, ორ თვეში შემოვიარე იგი სიგრძე-სიგანეზე, ამბობდა ფრანს ბუენი.

მაგრამ ბატონ ბუენს ორი თვე ჰქონდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრება რომ შეესწავლა. ჩვენ კი მხოლოდ ათი დღე. ამიტომ უნდა გვეჩქარა. რამდენი რამ უნდა გვენახა, მოგვესმინა, მეგვეტყო. მეორე დილითვე ლაიპციგში ვიყავით.

ამ ქალაქს რომ უახლოვდები, გეგონება შენს წინ უზარმაზარი ბაღია, რომელშიც რამდენიმე სახლი ჩაკარგულა, — ისე მწვანე და ლამაზია იგი. ბაზრობათა და მეცნიერების ქალაქი, საშრეველო და მუსიკალური ქალაქი — საოცარი ქალაქი! ლაიპციგის ღირსშესანიშნაობებს რომ ეცნობი, მუდამ საქმე გაქვს სულ მცირე სამნიშნა ციფრებთან: უკვე 800 წლის წინათ აქ წელიწადში ორჯერ იმართებოდა ბაზრობანი, უკვე 500 წლის წინათ ლაიპციგის უნივერსიტეტში წარმოებს კვლევითი მუშაობა და სწავლება, ლაიპციგში გერმანიის ბიბლიოთეკაში 3 მილიონამდე ტომი წიგნია და სხვ.





ჩვენთვის ლაიპციგი ყველაზე ძვირფასია თავისი სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებით: აქ მიმდინარეობდა გერმანიის მუშათა კლასის ხელმძღვანელების — აგუსტ ბებელის, ვილჰელმ ლიბკნეხტის, ფრანც მერინგის, კარლ ლიბკნეხტის, როზა ლუქსემბურგის, ვალტერ ულბრიხტის მოღვაწეობა.

ბუნებრივია, რომ ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვეწვიეთ იმ სტანბას, სადაც დაიბეჭდა პირველი ნომერი არალეგალური „ისკრისა“, რომელსაც ვ. ი. ლენინი რედაქტორობდა, და სიმიპერიო სასამართლოს შენობას (ამჟამად დიმიტროვის სახელობის მუზეუმი), იმ დარბაზს, სადაც გაასამართლეს ბულგარეთის მუშათა კლასის ბელადი გიორგი დიმიტროვი, რომელსაც ბრალი დასდეს რაიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებაში.

დარბაზში გვიჩვენეს სკამი, რომელზეც გასამართლების დროს იჯდა დიმიტროვი, და ჩართეს დიმიტროვის მიერ პროცესზე წარმოთქმული, მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი მგზნებარე სიტყვა, რომელსაც ღვარძლიანი რეპლიკებით აწყვეტინებს გერინგი. მთარგმნელი შემაძრწუნებელი იყო. თითქოს უკუღმა დატრიალდა ისტორიის ჩარხი, და ჩვენ თვით პროცესს ვესწრებოდით.

შემდეგ უნდა ვწვეოდით გაზეთ „ლაიპციგერ ფოლკს ცაიტუნგის“ — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო ხელმძღვანელობის ორგანოს რედაქციას, მაგრამ რედაქციამდე ალარ მივსულვართ, იმიტომ რომ, როგორც გამოირკვა, მთელი მისი კოლექტივი ამ დროს ბაზრობის ტერიტორიაზე იყო. საქმე ის არის, რომ ძალიან ხშირად კვირაობით ამ გაზეთის რედაქცია დიდ მასპარეზს სეირნობას მართავს. სწორედ ასეთ დღესასწაულს შეეხვედით ამ კვირაოდღეს. რა ოქმა უნდა, ისევე როგორც ლაიპციგის ყველა მცხოვრები, ჩვენც ბაზრობისაკენ გავეშართეთ.

ბაზრობა დღესასწაულის მსგავსი და ბრმყვიალით შეგეგება. 3000-მდე ატრაქციონი, მსახიობთა და თვითმოქმედების მონაწილეთა კონცერტები, ლატარია, ვიქტორინები, სპორტული შეჯიბრებანი, ცეკვის ტურნირები — გასართობთა მთელი ეს კალეიდოსკოპი იყო ჩვენს, თუმცაღა, ისევე როგორც ქალაქის ყველა მცხოვრებთა განკარგულებაში. საინტერესო შეხვედრები იყო ბაზრობის ყველა საგამოფენო დარბაზში.

საინტერესო ატრაქციონი იყო ბაზრობის გამოსასვლელთან. ჩამწკრივებული იდგნენ სხვადასხვა მარკის და სხვადასხვა წლის ვაგონებად ბეჭედ მანქანები, და ყველა მსურველს შეეძლო იმ მანქანით გაეცალირნა, რომლითაც ინებებდა — მდიდრული სპორტული ავტომობილით თუ ავტომობილმშენებლობის ჩასახვის დროინდელი „დანჯღრეული“ მანქანით.

უზარმაზარი 5-ათასადგილიანი სასპორტო კოლი დათმობილი ჰქონდა საეტრადო კონცერტს, რომელშიც მონაწილეობდნენ არა მარტო გერმანელი, არამედ საზღვარგარეთელი მსახიობებიც. კერძოდ, პროგრამაში იყო მაშინ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გასტროლებზე მყოფი ქართული ვოკალური ანსამბლის „ორერას“ ნომრებიც.

დღესასწაული დღის 4 საათზე დაიწყო და ნაშუადამეზს დამთავრდა. „ლაიპციგერ ფოლკსეაიტუნგის“ რედაქციის მუშაკები ყოველ ორ საათში ამზადებდნენ თავიანთი გაზეთის ახალ გამოშვებას, ასე რომ სეირნობის დროს გამოვიდა 5 თუ 6 გაზეთი დღესასწაულის აღწერილობით, დიდი ფოტოსურათებით, ამასთან თვითეული გამოშვებას თავისი პასუხისმგებელი რედაქტორი ჰყავდა. საკვირაო გამოშვებაში ბევრი მასალა იყო ჩვენს ქვეყანაზე — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ დღეს ხომ ყველანი აღნიშნავდნენ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების 20 წლისთავს.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნისას ჩვენ აშკარად გაგვიღიმა ბედმა სადღესასწაულო ღირსშესანიშნავ მოვლენებზე: დრეზდენში ჩავედით 2 ივლისს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და საოლქო სახალხო წარმომადგენლობათა არჩევნების დღეს. დილის 9 საათზე ვიყავით დრეზდენის ერთ-ერთ საარჩევნო უბანში, რომელიც მოთავსებული იყო სკოლის შენობაში. ხმის მიცემა 7 საათზე დაწყებულიყო, და ამ ორ საათში ხმა მიეცა ამომრჩევლთა 40 პროცენტზე მეტს.

როგორც ჩვენში არჩევნების დღეს, აქ ერთდროულად სადღესასწაულო ვითარებაც იყო და საქმითაც. ხმის მისაცემად მოდიოდნენ მთელ ოჯახებად, ბავშვებიანად. სადღესასწაულოდ მორთულნი. ყველა — დიდი თუ პატარა — აქტიურად მონაწილეობდა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულში.

იქვე, დრეზდენში გვქონდა შეხვედრა, რომლის შესახებ უკვე ვთქვი, შემდეგ გიამბობთ-მეთქი.

ეს მოხდა სადილზე გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დრეზდენის განყოფილების წევრებთან. მიგვიწვიეს რესტორანში, რომელიც სპეციალზეულია ძველებური სარდაფის ყაიდაზე. იგი მართლაც წარმოადგენდა გრძელ — 200-250 მეტრი სიგრძის სარდაფს ღრმა წაღლობით, სადაც მაგიდები იდგა მათ წინ იყო დიდი სეკერმი, რომლებზეც ოქროს ასოებით დაწერილია გერმანიის დიდი ადამიანების: მწერლების, პოეტების, მეცდარეთმთავრების, პოლიტიკური მოღვაწეების ნათქვამი სიტყვები. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ თორმეტიოდე წლის ბიჭესაც, რომელიც გულმოდგინედ იწერდა რვეულში აფორიზმებს. ბიჭს ვკითხეთ, თუ რა სიტყვები უფრო მოსწონს, და მან გვიპასუხა: „სამშობლოს ეს ომზე“. ერთ-ერთმა ჩვენგანმა მისცა ჩვენეული-რიგი კითხვა, რომლითაც მიმართავენ ბავშვებს: რა სურს გახდეს, როცა გაიზრდება: „სამხედრო პირი, — მყისვე მოგვიგო ბიჭმა, — ჩემს რესპუბლიკას დავიცავ“.

შემდეგ გავიცანით ამ ბიჭის მშობლებიც: მამა— მაიორი და დედა — ექიმი შვილიანად ჩამოსულან დრეზდენში ექსკურსიაზე ბერლინიდან. ჩვენი დელეგაციის წევრებმა სიამოვნებით უსახსოვრეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალ დამცველს სხვადასხვა ნიშნები.

ჩვენი მარშრუტის შემდეგი პუნქტი იყო ოდერის ფრანკფურტი. ჩვენს დელეგაციას საუბარი ჰქონდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანთან, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან ერიხ მიუკენბერგერთან, რომელიც ლაპარაკობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მმრომელთა წარმატებებზე. ამ საუბრის საკვეთილო ილუსტრაცია იყო ოდერ-შპრეეს ხეობის სათავესთან მდებარე ახალაზრდა სოციალისტური ქალაქის აიზენჰიუტენშტადტის ნახვა.

ჯერ კიდევ 17 წლის წინათ ეს ქალაქი არ ყოფილა, ისევე როგორც არ ყოფილა ვეიბერთელა მეტალურგიული კომბინატი „ოსტი“. დღეს კი შორიდანვე მორანს ამ საწარმოს ბრძმედები და მილები. იგი უშვებს მფელი იმ თუჯის 60 პროცენტზე მეტს, რასაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აწარმოებენ.

კომბინატში ყოფნის პირველი წუთებიდანვე ჩვენ, ქართველ ჟურნალისტებს, აზრად მოგვდის შევადართ იგი რუსთავს. ამ შედარების სისწორემი კიდევ უფრო რწმუნდები თვით ქალაქში, რომელშიც ახლა 45 ათასამდე მცხოვრებია. ნაოელი. მზიანი ბინები, საბავშვო ბაღების, სკოლების. საავადმყოფოების, მაღაზიებისა და მეტადრე კულტურული დაწესებულებების ჩინებული შენობები განსაზღვრავენ ამ სოციალისტური ქალაქის ხასიათს და მოგვაგონებენ რუსთავის ცხოვრების ნიშნებს. საინტერესოა, რომ აიზენჰიუტენშტადტის ასაკობრივი დონე ყველაზე დაბალია. დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეს ყველაზე ახალგაზრდა ქალაქია არა მარტო თავისი დაბადებით, არამედ მოსახლეობის ასაკითაც.

ჩვენი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა, დასასრულს უახლოვდება ეს ნაამბობიც. სახელდახელო ნანაწერებში ყველაზეერი როდი შევიდა, რაც ჩვენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ენახეთ. კიდევ საჭირო იქნება დრო, რომ დალაგდეს შთაბეჭდილებები, მშვიდმა ფიქრებმა შეცვალოს აღელვებული აზრები. შემთხვევით ნანახიდან გამოირჩეს საჭირო და დიდმნიშვნელოვანი, ჯერჯერობით კი მიმაჩნია, რომ ვალში ვარ ყოველივე იმის წინაშე, რის აღწერაც ვერ მოვასწარი. ეს არის საქმითნის, შვეიცარიის დიდებული ბუნება, ეს არიან ადამიანები, რომლებსაც ვხვდებოდი, კოლეგები, რომლებთან ერთად განვიხილავდით დღის წესრიგს. თვალებმა და გულმა მეტი დაინახა, ვიდრე ხელმა დაწერა.

ბერლინი-თბილისი.

• • •

სურათებზე: ცენტრში — ბრანდენბურგის კარი; მარცხნივ — ალექსანდრეპლაცის ხედი; მარჯვნივ — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პატარა მოქალაქეები.

საერთაშორისო ხმოვანება

ადნ-ის საგენტოს განცხადება

ბერლინი, 18 აგვისტო. (საკდესი). ამ ბოლო დროს დასავლეთ გერმანიის პლანერები ხშირად ირღვევენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს, იუწყება ადნ-ის საგენტო.

ამასთან დაკავშირებით ადნ-ის საგენტომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც დასავლეთ გერმანიის კომპეტენტური ორგანოებისაგან მოითხოვს განაბორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტული თვითმფრინავების მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დარღვევას. ადნ-ის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ თავის მხრივ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოები განაბორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს მომავალში ასეთი შემთხვევების აღსაკვეთად.



** დიდი** მარცვალსაცავი 5000-მდე ტონა ტევადობისა შენდება ტროიოკსენტმიკლოში (უნგრეთი).

ფოტო მტი-საკდესისა.

აფრიკის ქვეყნების ერთობისათვის

ადის-აბება, 18 აგვისტო. (საკდესი). აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეის მორიგი სესია 1967 წლის 11 სექტემბერს დაიწყება კინშასის კონგოში, სესიამდე გაიმართება აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს სესიის დღის წესრიგშია 20-ზე მეტი პუნქტი.

მინისტრების საბჭო და ასამბლეა განიხილავენ აგრეთვე აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის ყველა კომიტეტის ანგარიშებს და რეკომენდაციებს.

პრეზიდენტ ტიტოს ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში

ბელგრადი, 18 აგვისტო.

ჩვენს ყველა-ჟყველაში

გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

ნაირ-ნაირი

მშვენდება ვაჟას პარკი

თიანეთი. (საკ. კორ.). მიმდინარეობს რაიონული ცენტრის ერთ-ერთი ლამაზი ადგილის — ვაჟას პარკის კეთილმოწყობა. პარკის ცენტრალურ ხეივანში დაიდგა ხაულპტურული ქანდაკება „სამაია“. ხელახლა შეღებეს და ლამაზად გააფორმეს გაზეთების ვიტრინები. განახლდა საბჭოთა კავშირის გმირთა და სხვა ფოტოსტენდები, პარკის შესავალთან აშენდა ლამაზი ფარდული, სადაც იყიდება გამაგრილებელი წყლები.

ვაჟას პარკში დასვენების დღეებში ყოველთვის ბევრი ხალხია.

მექანიზებული სამრეცხაო

ბათუმის მენავთობეთა ბაზაში ამ დღეებში გაიხსნა მრავალსართულიანი მექანიზებული სამრეცხაო. სამრეცხაო აღჭურვილია ახალი ტიპის მანქანებითა და დანადგარებით.

ქალაქის აბანო-სამპარიკმახეროების ტრესტმა მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით გამოჰყო სპეციალური ავტომანქანა — მომსახურე მუშაკებით, რომლებიც ბინაზე მიკითხვით მიიღებენ სარეცხს და შემდეგ გარეცხილ-გაუთოებულს მიუტანენ.

ასეთმა ღონისძიებამ დიასახლისებს დიდად გაუადვილა შრომა.

ც. ცინცაბაძე.

მწყემსებთან

შუახევი. (საკ. კორ.). მშრომელები ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებენ მწყემსებს, რომლებიც იალაღებზე იმყოფებიან და ერთგულად უვლიან ხალხის დოვლათს.

ამ დღეებში რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტები გამართა გომის, კატრიანის, გრძელგორას მთებზე მყოფ მწყემსებთან. მათ სისტემატურად ამარაგებენ ახალი გაზეთებითა და საინტერესო ლიტერატურით.

ღამესახურებული დასვენება

მცხეთის რაიონში სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფესიული კავშირის შრომელი წევრია, რომლებიც ყოველწლიურად სარგებლობენ დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურებით. წელს, მაგალითად, პროფკავშირის ასზე მეტი წევრი მიიღებს საკურორტო საგზურს.

მანქანათა გამოცდის მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა წელს დაისვენეს და იმკურნალეს კისლოვოდსკში, სოჭში, გაგრაში, მახინჯაურში, ესენტუკში, წყალტუბოსა და სირმაში. მეურნეობის მუშაკებმა დასასვენებელი სახლის საგზურებიც მიიღეს. ნატახტრის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ისარგებლეს პიატიგორსკის, ცაიშის, მენჯის, საირმისა და სხვა კურორტების საგზურებით.

გარდა ხანგრძლივი დასვენებისა, პროფკავშირები დიდ ყურადღებას უთმობენ მუშათა და მოსამსახურეთა მასობრივი დასვენების საქმეს. წელს მცხეთის მევენახეობის მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი ექსკურსიაზე იყვნენ ორჯონიკიძეში, სასელექციო სადგურისა და „საქსოფლტექნიკის“ რაიგანყოფილების თანამშრომლები — ვარძიაში, ხეხილ-სანერგის მუშები — ქუთაისში.

ელ. მეძველია.

ნადირობის ტრფიალი

ნადირობა — დასვენების საუკეთესო საშუალება

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლამ, კვირაში ორი დასასვენებელი დღის დაკანონებამ მშრომელთა საერთო მოწონება დაიმსახურა. საწარმო-დაწესებულებებმა უკვე პირველი პრაქტიკული გამოცდილება შეიძინეს ახალ პირობებში ორგანიზებულად, კულტურულად, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო დასვენების მოწყობის საქმეში.

ცნობილია, რომ ნადირობა, მთელი კვირის ნაყოფიერი შრომის შემდეგ, დასვენების ერთ-ერთი აქტიური და საუკეთესო საშუალებაა. ცნობილ მოღვაწეთა მრავალი აზრი გამოთქმულა ამის თაობაზე. ბევრი მათგანი თავის სასარგებლო შრომის ერთ-ერთ ხელისშემწყობ, წამახალისებელ საშუალებად ნადირობას თვლის. ბევრი დიდი მწერლის ნაწარმოებებში სპეციალური ადგილი აქვს დათმობილი ნადირობის ეპიზოდებს პირადი შთაბეჭდილებიდან თუ ნაამბობიდან.

მაგალითად, დიდი რუსი კლასიკოსები ა. ტოლსტოი და ნ. ტურგენევი, ჩვენი დროის დიდი რუსი მწერალი მ. შოლოხოვი, ბუნების სიდიადის და მონადირის განცდების საუკეთესო ამსახველი რუსი მწერალი მ. პრიშვინი, ჩვენი ვაჟა-ფშაველა თუ მრავალი ათეული საბჭოთა და უცხოელი მწერალი, ბოლოს დიდი შოთა რუსთაველი, რომელსაც ბადალი არა ჰყავს ნადირობის სილამაზის აღწერაში, დიდად აფასებენ და თაყვანსცემენ ნაწარმოების დამამშვენებელ ადგილებად თვლიან ნადირობის ეპიზოდების გადმოცემას.

ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებელს ვ. ი. ლენინს ნადირობა დაძაბული შრომის შემდეგ დასვენების საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა და ამ მიზნით კიდევაც იყენებდა მას.

აქტიური დასვენების ამ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალების მიზანშეწონილად გამოყენების შესაძლებლობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ჩვენი სამშობლოს საწარმო-დაწესებულებების უმრავლესობა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადავიდა.

სწორედ ახლა მართებთ მონადირეთა ძირეული კოლექტივების ხელმძღვანელებს უკვე გამოიყენონ ორი დასვენების დღეი სარგებლობის მდიდარი შესაძლებლობა.

ყველას ახსოვს მსხვილი ნადირზე გამართული კოლექტიურ ნადირობათა უხერხულობა, როდესაც ნადირობის ერთ მონაწილეს საშუალება ჰქონდა ორი დღე დარჩენილიყო ნადირობის ადგილზე და გულდამშვიდებით, აუჩქარებლად მოენადირა, მეორეს, ამავე კოლექტივის წევრს კი ეს საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ იძულებული იყვნენ ჯგუფი დაეშალათ, უარი ეთქვათ იმ საშუალებების (ტრანსპორტი, სანადირო ძაღლები, ზოგიერთი მოწყობილობა და სხვ.) გამოყენებაზე, რაც კოლექტივს მხოლოდ ყველა წევრის ნადირობაში მონაწილეობის დროს შეიძლებოდა ჰქონოდა. ახლა კი ეს დაბრკოლებები აღმოფხვრილია. ახლა კოლექტივის თვითეული წევრის განკარგულებაში ორი დღეა და მონადირისათვის ეს საკმარისია.

ორი ერთმანეთზე გადაბმული დასვენების დღე ზედ გამოჭრილია ჩვენი იმ მონადირეებისათვის, რომლებიც ნადირობას აპირებენ მსხვილ ნადირზე, მაგალითად ჯიხვზე, ღორზე, შველზე ან მაღალი მთების მობინადრე ფრინველზე — შურთხსა და როჭოზე.

საქართველოში შემოღებულია ერთდროული ნებართვებით (ლიცენზიებით) ნადირობა ჯიხვზე, ღორზე ან, თუ გნებავთ, შველზე. მონადირეს ხშირად ერთი დღე არ ეყოფა ასეთი ნადირობისათვის მოსამზადებლად, სამგზავროდ, სანადიროდ და შინ დასაბრუნებლად. აქ სწორედ ორი დღეა საჭირო.

1967-1968 წლების სანადირო სეზონი დღეს, 19 აგვისტოს იწყება. იგი მწყერზე და ზოგიერთ სხვა მძლავრ და ადგილობრივ ფრინველზე ნადირობით იხსნება.

ამას წინათ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში მომავალი სანადირო სეზონის დაწყების შესახებ, დაზუსტებული იყო ის ვადები და წესები, რომლებიც დადგენილია სხვადასხვა სახის გარეულ ცხოველებზე ნადირობისათვის. აქვე მოხსენებულია, რომ ზოგიერთ ჩვენს ადგილობრივ ნადირ-ფრინველზე ნადირობა შეიძლება მხოლოდ ერთდროული ნებართვებით, ეგრეთწოდებული ლიცენზიებით, რომელთაც გასცემენ მონადირეთა საზოგადოებები.

ერთდროული ნადირობის ნებართვები შემოღებულია მონადირეებისათვის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მონადირეების იმ საზოგადოებათა მუშაობაში, სადაც ისინი წევრებად ითვლებიან.

უკვე რამდენიმე წელია, რაც დამთავრდა ადგილობრივ მონადირეთა საზოგადოებებზე სანადირო სავარგულების მიწერა-მიმაგრება. საზოგადოებათა გამგეობებმა ვალდებულება იკისრეს ამ სავარგულებში შექმნან ნადირ-ფრინველის არსებობისათვის ისეთი პირობები, რომ აქ არსებული ნადირ-ფრინველი ან აქ გამორეკილი შთამომავლობა საკვების სიმცირის ან თავშესაფარის უქონლობის, მავნე მტაცებელ ცხოველთა ან ქურდი მონადირის — ბრაკონიერისაგან შევიწროების გამო აღარ გადავიდეს სხვა სავარგულში. ამ საპატიო მოვალეობის შესრულებისათვის უნდა დაირაზმონ საზოგადოების წევრები.

მონადირეთა საზოგადოებების გაგეგებებმა თავიანთ წევრებს შორის უნდა გააანაწილონ ის მოვალეობანი, რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. საზოგადოების აქტიური წევრები, რომლებიც იხდიან თავიანთ ჯალს ბიოტექნიკურ ღონისძიებათა გატარებაში, აქტიურად მონაწილეობენ ნადირ-ფრინველისათვის საკვები ბაზის შექმნაში, მონადირეთა სახლების მშენებლობაში, მავნე მტაცებელი ნადირის განადგურებაში, ბრაკონიერების — ბუნების ამ ყველაზე საშიში მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვ. ისარგებლებენ ერთდროული ნებართვებით, ვინაიდან სწორედ ასეთი აქტიური მონადირეებისათვის არის შემოღებული ეს წამახალისებელი ღონისძიება — ლიცენზიები.

ნადირობის საქმეს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის იანვრიდან ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო, რომელიც მოწოდებულია წარმართოს მუშაობა სანაკრძალო მეურნეობის განსამტკიცებლად და სამონადირეო საქმის გასაუმჯობესებლად მეცნიერულ საფუძვლებზე.

სამმართველოს მოვალეობაა უზრუნველყოს საქართველოს ბუნების იშვიათი ცოცხალი ძეგლების, ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ნაკრძალების დაცვა, ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა და მათი ჩაყენება ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის სამსახურში, ხოლო ჩვენი სამონადირეო მეურნეობის ისეთი დაცვა და განვითარება, რომ შესაძლებელი გახდეს ჩვენი ბუნების დამაშშვენებ ე ლ ი, მრავალფეროვანი ნადირ-ფრინველის მაქსიმალური რაოდენობრივი ზრდა, ამასთან შეიქმნას ყოველგვარი პირობები იმისათვის, რომ ნადირობა, ეს მამაცთა სპორტი, ნამდვილად იქცეს ადამიანთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების და აქტიური დასვენების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად.

რამდენიმე ასეული ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორი და ეგერი, ორ ათასეულზე მეტი მეტყევეები, მონადირეთა საზოგადოების აქტიური წევრებისაგან შემდგარი ასობით ნადირობის საზოგადოებრივი ინსპექტორი — აი ბუნების სიმდიდრის — ჩვენი ნადირ-ფრინველის დამცველთა ძირითადი ბირთვი.

ყოველივე ეს იმის საწინდარია, რომ თუ საქართველოს მონადირენი დაიცავენ თავიანთი საყვარელი სპორტის, ნადირობის ობიექტების — სასარგებლო ნადირ-ფრინველის მიზანშეწონილ ექსპლოატაციას ანუ ნადირობის წესებს, ეცდებიან მეტი მავნე მტაცებელი ნადირი გაანადგურონ და გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღონ ბრაკონიერთა — ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთა წინააღმდეგ, ამით უფრო აღრე მიგაღწევთ დასახულ მიზანს, ნადირ-ფრინველის სიუხვეს ჩვენს ყოველგვარი სიუხვით შემკულ ქვეყანაში.

მოგიღოცავთ, ამხანაგო მონადირეებო, სანადირო სეზონის დაწყებას და გისურვებთ წარმატებით გადაგვიხადოთ ის თქვენი ვალი, რომლის შესრულებაზეც დამოკიდებულია თქვენი საყვარელი სპორტის არსებობა და განვითარება.

ჩვენ ხომ კარგად გვესმის, რომ კარგი მონადირე ის კი არ არის, ვინც კარგად ესვრის და ბევრს კლავს, არამედ ის, ვინც კარგად ესვრის, ზომიერად მონადირებს და მასთან ერთად ხელს უწყობს ნადირ-ფრინველის გამრავლებას.

იღბლიანი იყოს თქვენი პირველი გასროლა, მეგობრებო!

ვ. ბურჯანაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მთავარი ნადირობის მცოდნე.



გუნებების ფიალში. ფოტო შ. კუკულავასი.

კომპოზიტორის საიუბილეო საჩუქარი

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა სანდრო მირიანაშვილმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის შექმნა სიმღერების ახალი ციკლი. აი რა უამბო მან „კომუნისტის“ კორესპონდენტს:

— ოქტომბრის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი არის ძმობა, მეგობრობა, ადამიანთა კეთილი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი. ვინც ძმობასა და მეგობრობას უმღერის, ის რევოლუციის მთავარ და კეთილ მისიას ატარებს.

ეს-ეს არის დავამთავრე სიმღერების ციკლი სომეხი პოეტების ლექსებზე. სულ ცხრამეტი სიმღერაა და ერთიც მისალმება-შესავალი, რომელიც სომხეთს ეძღვნება.

ვფიქრობ, ყველასათვის ცნობილია ოვანეს თუმანიანის, აკეტიკ ისააკიანის, ვაჰან ტერიანის სახელები, სომხური ლიტერატურის ეს სამი მშვენება. გარდა კლასიკოსებისა სიმღერების ტექსტების ავტორები არიან სხვადასხვა თაობის თანამედროვე სომეხი პოეტები პარეირ სევაკი, გეგორ ემინი, ვააგნ დავთიანი, ოვანეს შირაზი, ჯრაჩია ოვანესიანი, სილვა კაპუტიკიანი, ამო საღიანი, მარო მარქარიანი, ოვანეს კარაიანი, გეგორ გრიგი, სამველ სამველიანი და რანუშ მირზოიანი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ განზრახულია მთელი ამ სიმღერების ციკლის ეკრანიზაცია. საქართველოს ტელევიზიამ გადაღება უკვე დაიწყო. სიმღერებს შეასრულებენ ქართველი მომღერლები. ლექსები სომხურიდან თარგმნეს ცნობილმა ქართველმა პოეტებმა. ყოველი სიმღერის დაწყებამდე ეკრანზე გამოჩნდება ლექსის ავტორი — პოეტი, რომელიც ორიგინალში წაიკითხავს ამავე ლექსს, რათა სომეხი მსმენელისათვის გასაგები გახდეს, თუ რომელ ნაწარმოებს შეასრულებს ქართველი მომღერალი. რაც შეეხება თუმანიანს, ისააკიანსა და ტერიანს, ეკრანებზე გამოჩნდება მათი პორტრეტები, შესრულებული სომეხი მხატვრების მიერ, ხოლო მათს ლექსებს წაიკითხავენ თბილისის შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრის მსახიობები. ფილმ-კონცერტში ზოგიერთი სიმღერა წარმოდგენილი იქნება სიუჟეტურ მოქმედებაში. ეს ფილმში მეტ დინამიკას შეიტანს, იგი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდება.

დასასრულ მინდა გაზეთის მკითხველებს ჩემი ერთი საიუბილეო ჩანაფიქრიც გავაცხო. როგორც ლენინგრადის დაცვის მონაწილეს, გადაწყვეტილი მაქვს ჩემს ლენინგრადელ თანამოსაგნარებს და გმირი ქალაქის მშრომელებს მივუძღვნა ერთი ახალი სიმღერა.

ცხადია, საიუბილეოდ არც ჩემი მშობლიური თბილისი დამრჩება უყურადღებოდ.

ხელოვნების ამბები

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სახელმწიფო ანსამბლი წარმატებით გამოდის უკრაინის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

ანსამბლის საგასტროლო რეპერტუარშია უკრაინული, რუსული, ქართული, აზერბაიჯანული და სხვა ხალხთა სიმღერები და ცეკვები.

მახარაძე, (საკ. კორ.). ამ დღეებში სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სახლში კონცერტი გამართა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობთა ჯგუფმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვახტანგ ნინუას ხელმძღვანელობით.

გურჯაანი. (საკ. კორ.). ველისციხის სახალხო თეატრმა (კულტურის სახლის დირექტორი გ. ასტაშვილი) მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ო. დგებუაძის „ოთხი სიცოცხლე“. სპექტაკლი დადგა ა. ყაზაროვმა.

ჩვენი სტუმრების ხელოვნება

მღერის და ცეკვავს არგენტინა

თბილისში, ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში კონცერტებს მართავს არგენტინის მსახიობთა ჯგუფი. „ბაბუალა“ — მთის რაში, ასე ეწოდება ამ საესტრადო წარმოდგენას.

დარბაზი ნელნელა ჩაბნელდა... გაისმის მკვეთრი მუსიკის ხმა. ორკესტრში იგრძნობა დაფდაფებისა და საყვირების სიუხვე. ისინი რაღაც უბედურებას იუწყებიან. დიახ, ესპანელმა დამპყრობლებმა სამხრეთ ამერიკის მკვიდრნი დაიმონეს. მუსიკალურ უფერტიურას ინკების ცეკვა მოსდევს, რომელსაც ინდიელები ჯერ კიდევ კოლონიზატორების მოსვლამდე ასრულებდნენ. ასეთი თეატრალიზებული ექსკურსიით იწყება არგენტინელი მსახიობების გამოსვლა.

პირველი განყოფილება მდიდარია საცეკვაო-საესტრადო პიესებით, სადაც სიმღერის თანხლება აუცილებელია. წარმოდგენის ამგვარი ფორმა ღრმა წარსულთან არის დაკავშირებული და სამხრეთ ამერიკაში ბევრგან დღესაც შემორჩა.

სწორედ ასეთ ფოლკლორულ მასალაზეა აგებული ჩვენი სტუმრების კონცერტი.

პროგრამის თითქმის ყველა ნომერი სტილიზებულია, მაგრამ ქორეოგრაფებმა მაინც შემოინახეს ხალხური ხელოვნების სიწმინდე, ამან კი განაპირობა თითქმის ანსამბლის წარმატება. ამიტომ არც არის საკვირველი, რომ მაიამის საგაზაფხულო ფესტივალზე არგენტინელმა მსახიობებმა პირველი ადგილი დაიპაყრეს.

ალბათ ყველა დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ სამხრეთ-ამერიკული ეტნერადა უგიტარიდ წარმოუდგენელია. და მართლაც მთელი სალამოს განმავლობაში გიტარის აკორდები ყღერს. უწინარეს ყოვლისა ეს დამსახურება ეკუთვნით გიტარისტებს კარლოს ვალეხოსა და ლუის ამაიას.

კონცერტის წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს ვოკალურ-ინსტრუმენტულ კვინტეტს „ლოს ტროვადორეს“. სამხრეთ ამერიკელ მომღერლებს ყოველთვის ტემპერამენტი და ცეცხლოვანი შემართება ახასიათებთ. ამას ვერ ვიტყვით ჩვენს სტუმრებზე. ისინი რომანტიკულნი არიან, და სიმღერები უფრო რბილად. ხმოვან აკორდებზე აქვთ აგებული. სწორედ ეს სპეციფიკურობა განასხვავებს მათ თავიანთი კონტინენტის ანალოგიური ანსამბლებისაგან.

როდესაც სიმღერაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შეეხერდეთ მერსედეს სოსას ხელოვნებაზე. იგი ხალხურობის ჩარჩოებს ერთი „წუთითაც“ არ შორდება. მღერის უბრალოდ, გულშიჩამწვდომად. მას მიერ შესრულებული სიმღერები „ბაგუალა“ და „დამოუკიდებლობა“ ვოკალური აკომპანიმენტის თანხლებით იმ სიმღერების ნიმუშს წარმოადგენს, რომლებითაც შემსრულებელი ცდილობენ გადმოგვცეან თავისი ხალხის ჭირ-ვარამი, განცდები და ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. სტუმრებს პროგრამაში ლირიკული გადახრებიც აქვთ.

პროგრამის თანმიმდევრულობას კონცერტის წარმატებაში გარკვეული წვლილი შეაქვს. ამას ვერ ვიტყოდით ჩვენი სტუმრების კონცერტზე. მეორე განყოფილება იწყება მასობრივი სცენებით. მონაწილეობს მთელი ქორეოგრაფიული დასი და, ბუნებრივია, კონცერტიც ალმაფლობით მიდის. მაგრამ განყოფილების შუაში რიტმი ირღვევა, იგრძნობა ერთგვარი მოდუნება. ფინალი კი კვლავ მხიარული და სიცოცხლით სავსეა.

არგენტინელი მსახიობების ჯგუფში ესტრადის „ვარსკვლავები“ არ არიან, მაგრამ ახალგაზრდა შემსრულებლების უშუალობა და გულწრფელობა ხიბლავს მაყურებელს, რომელიც გულდასმით ადევნებს თვალყურს, თუ როგორ მიჰყავს სტუმრები „ესთეტიკურ კომპასს“ სწორი ხელოვნების გზით.

კ. მაკარიძე.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ესტრადაზე არიან არგენტინელი მსახიობები; ქვემოთ — უკრავენ ჩიტო სებალიოსი და ლუის ამაია.

ფოტო ე. ნადარეიშვილისა და ბ. კეკელიძისა.

ცსკა — ნახევარფინალში

გუშინ მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩით დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეჯიბრება. დანარჩენი სამი მეოთხედფინალური შეხვედრა, მათ შორის ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“, აგრეთვე სარატოვის „სოკოლისა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ შეხვედრები შედგება დღეს.

ცსკა-სა და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივები თასისთვის მებრძოლთა დიდი ტრადიციის გუნდები არიან, ამიტომ მათი გუშინდელი შეხვედრა სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იდგა. არმიელ ფეხბურთელთათვის მეოთხედფინალში გასვლა ადვილი როდი იყო. მათ დაამარცხეს სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი კიევის „დინამო“ 3:0, უფრო აღრე კი ასეთივე ანგარიშით მოუგეს სიმფეროპოლის „ტავრიას“. „ლოკომოტივმა“ კი ჯერ დაამარცხა ქუთაისის „ტორპედო“ 4:0, შემდეგ კი პერმის „ზვეზდა“ 3:0.

და აი ცსკა-სა და „ლოკომოტივის“ გუშინდელ მატჩს უნდა გადაეწყვიტა საკითხი — ვინ იქნებოდა სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალისტი. შეხვედრა შეუპოვარი გამოდგა და დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით ანგარიშით 2:1. ნახევარფინალში ცსკა შეხვდება ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდების მეოთხედფინალურ შეხვედრაში გამარჯვებულს.

ჰადრაკი

იუგოსლავიაში გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჰადრაკში. უკვე გათამაშდა 9 ტური. გროსმაისტერმა **რ. ხოლმოვმა** მოიგო გადადებული პარტია, ამასთანავე მეცხრე ტურშიც გიამარჯვა და შვედნახევარი ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. გროსმაისტერ **რ. ფიშერს** ექვსნახევარი ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. **ე. ველერს** — ხუთნახევარი ქულა და ერთი გადადებული პარტია.

„ნაკადული“ უძლიერესთა ოთხეულში

დონის როსტოვი სეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპარეზობის მოწმეა. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუნიორთა (12-13 წლის) 24 კოლექტივი იბრძვის „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზისათვის.

მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურეს თბილისის „ნაკადულმა“, კიროვაბადის „განჯამ“, კიევის „ენთუზიასტმა“, ჩრდილოეთ ოსეთის „საქართველომ“ და სხვა გუნდებმა.

და აი გავლილია ბრძოლის პირველი ეტაპი, გამოვლინდა 4 უძლიერესი კოლექტივი, რომლებმაც უნდა გამართონ ნახევარფინალური შეხვედრები. ეს კოლექტივები გახლავთ თბილისის „ნაკადული“, კიროვაბადის „განჯა“, კიევის „ენთუზიასტი“ და ელისტას „ოგონიოკი“.

დღეს თბილისის ნაკადული შეხვდება ელისტას „ოგონიოკს“.

წინ „მეჯალურგია“

ბრძოლდება საქართველოს **პირველობის** გათამაშება ფეხბურთში.

უკანასკნელ მატჩებში ძირითადი ბრძოლა ერთპიროვნული ლიდერობისათვის ზესტაფონის „მეტალურგსა“ და მახარაძის „მერცხალს“ შორის მიმდინარეობს. სწორედ ეს გუნდები დგანან სატურნირო ცხრილის სათავეში. თვითეულ მათგანს დღეისათვის გამართული აქვს 28 თამაში და 39 ქულა მოეპოვება. ბურთების უკეთესი სხვაობით წინ არის ზესტაფონის „მეტალურგი“.

სპარტაკელეგი პოზიციებს არ თმობენ

„ბ“ კლასის მეოთხე ზონის საკავშირო ტურნირში, სადაც პირველობას ერთმანეთს ეცილება ფეხბურთელთა 20 კოლექტივი, ჩვენი რესპუბლიკის რვა წარმომადგენელია, რომელთაგან მხოლოდ გორის „დღალა“ და სოხუმის „დინამო“ აქვთ უკეთესი მდგომარეობა, დანარჩენები კი სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარს მიეკუთვნებიან.

გათამაშების ცხრილის სათავეში კისლოვოდსკის „სპარტაკი“ დგას. უკანასკნელ ტურში, რომელიც 16 აგვისტოს შედგა, „სპარტაკმა“ კიდევ ორი ქულა ჩაიწერა აქტივში. ამჯერად მან დაამარცხა პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელი“ და დღეისათვის 38 ქულა აქვს. მეორე ადგილი 36 ქულით უკავია მახაჩყალის „დინამოს“. ამ უკანასკნელს ორი ქულით ჩამორჩება გორის „დღალა“, იგი მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

კიროვაკანის „ლოკომოტივი“ და პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელის“ დამარცხებამ სოხუმის „დინამოს“ გზა გაუკაფა მეოთხე ადგილისაკენ. დინამოელებს 25 თამაშიდან 31 ქულა აქვთ.

ბოლო სვეტიზე

შეხვედრა 25 წლის შემდეგ

ბენადის არასოდეს არ სცოდნია თავისი ნამდვილი გვარი და არც მშობლებზე იცოდა რაიმე. 1943 წლის ივნისში სამი წლის ბიჭუნა კუსუკში აიყვანეს რიაზანში მიმავალ ეშელონში. მას შემდეგ მიიღო ბენადის გვარი ნეიზვესტნი. 1960 წელს ბენადის ისე მოეწონა კინოფილმ „საგანგებო შემთხვევის“ გმირი, მამაცი მეზღვაური რაისკი, რომ მისი გვარი დაირქვა.

ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბენადი ულიანოვსკში გადავიდა და ელექტრომექანიკად დაიწყო მუშაობა. მას კიდევ ერთხელ სცადა ეპოვა მშობლები. ბენადის სამი ქალაქი დაეხმარა: რიაზანი, სადაც იგი საბავშვო სახლში იზრდებოდა, კუსკი, საიდანაც, მიდიოდა ეშელონი, და ულიანოვსკი. მილიციამ, განათლების ორგანოები, არქივები, მრავალი ადამიანი ჩხრეკდნენ დოკუმენტებს, აწარმოებდნენ მიმოწერას, აგროვებდნენ ცხობებს. „კურსკაია პრავდამ“ დაბეჭდა ბენადის ფოტოსურათი. და რამდენიმე თვეს მაშინხვე განაცხადა, რომ ეს მათი შვილია.

მაგრამ კურსკის სამრეწველო რაიონის მილიციის განყოფილების საკასპორტო მაგიდის უფროსი გ. ი. ვერეზოვი, რომელსაც დაავალეს ბენადის საქმის გამოძიება, არ უჯერებდა ამ კანდიდატურებს. ცხადი იყო, რომ ეს ხალხი ცდებოდა. და უცებ!.. კურსკელმა პენსიონერმა პოლინა ანტონის ასულმა დეგტიარევამ მილიციას აცნობა განსაკუთრებული ნიშანი, რომ მის ვაჟს პატარა ბენას, რომელიც 1943 წელს დაიკარგა კურსკში, ზურგზე ხალი ჰქონდა, ემთხვეოდა ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალიც.

მაგრამ ეჭვი მაინც ეპარებოდათ. გ. ი. ვერეზოვი მოელაპარაკა ულიანოვსკის ზავოლჟსკის რაიონის მილიციის განყოფილებას ერთმანეთთან შეეხვედრებინათ ბენადი და პოლინა ანტონის ასული. და როცა ისინი ერთად დაინახეს ეჭვები სულ გაუქარწყლდათ: დედა-შვილი ძალიან გვანან ერთმანეთს.

ახლა ბენადი დედამისს ესტუმრა მშობლიურ სოფელ კურკინოში.

ი. ხარიტონოვსკი,
საკადესის კორ.
კურსკი.

არწივი თვითმფრინავს უტევს

თვითმფრინავი „ან-8“, რომელსაც კომი-პერმელთა ეროვნული ოკრუგის კუდიმკარის აეროპორტის მფრინავი ს. ე. იარკოვი მართავდა, გაინიდან კუდიმკარში ბრუნდებოდა. ოთხას მეტრ სიმაღლეზე მანქანას მოულოდნელად შეუტია არწივმა, უზარმაზარი არწივი ეკვეთა თვითმფრინავს, გახვრიტა ფრთის დიურალის გარსაცმი, დააზიანა ნერვიურები... და ფრთაში გაიჩხირა. მფრინავმა ფრთხილად მოიყვანა აეროპორტში თვითმფრინავი, რომლის ფრთაში ფრინველი იყო გარჩენილი. უგუნური თავდასხმა არწივისათვის ტრაგიკულად დამთავრდა, მანქანა კი შესაკეთებელი გახდა.

ი. მინინი.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ტელევიზია

19 აგვისტო

09.30 — კინონარკვევი, 09.50 — მხატვრული ფილმი „ამბავი ნამდვილ ადამიანზე“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — საბჭოთა კავშირის ეროვნული დღე — „ექსპო-67“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — ბავშვებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.10 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ბანაკი ზღვის პირას“ (გუდაუთის კომკავშირული ბანაკი), 18.25 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე — „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი). მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.45 — კინონარკვევი, 20.30 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1919 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.20 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.40 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „გამოძახებულ მარტინი“; 22.55 — გადაცემათა პროგრამა 20 აგვისტოსათვის, 23.15 — სიმღერის მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალი (გადმოცემა სოპოტიდან).

მე-9 არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 13 საათიდან.

20 აგვისტო

09.30 — ლექცია, „ქსელოვანი დაგეგმვა და მართვა მშენებლობაში“, 11.00 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მხატვრული ფილმი „გოგონა, რომელთანაც ვმეგობრობდი“, 16.35 გადაცემათა პროგრამა, 16.40 — „კინოპანორამა“ გადმოცემა მოსკოვიდან, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ჩვენს ოლქში“, 18.30 — „რევოლუციური მოვლენების ნაკვალევზე“. რეპორტაჟი ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმიდან, 18.50 — ჩვენი სტუმრები, 19.05 —